



კავკასიის უნივერსიტეტი  
CAUCASUS UNIVERSITY

## კავკასიის უნივერსიტეტის 2016-2017 აკადემიური წლის მოკლე ანგარიში

### საგანმანათლებლო პროგრამები

კავკასიის უნივერსიტეტი ახორციელებს 21 საბაკალავრო, 21 სამაგისტრო და 4 სადოქტორო პროგრამას. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამები შედგენილია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, აქვთ თანმიმდევრული სტრუქტურა, სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები.

თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულია: პროგრამის დასახელება ქართულად და ინგლისურად, მისანიჭებელი ხარისხი (კვალიფიკაცია) ქართულად და ინგლისურად, უმაღლესი განათლების საფეხური, სწავლების ენა, პროგრამის მოცულობა კრედიტებით, სწავლის ხანგრძლივობა, პროგრამის დამტკიცებისა და განახლების თარიღები, პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.

პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს უნივერსიტეტს

ბაკალავრიატი

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)
1	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა სპეციალობები (ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, საბუღალტრო აღრიცხვა)	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში 0204, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მარკეტინგში 0202, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203, ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი საბუღალტრო აღრიცხვაში 0201	240 ECTS	აკრედიტებული
2	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02	240 ECTS	აკრედიტებული
3	სამართლის საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	სამართლის ბაკალავრი 06	240 ECTS	აკრედიტებული
4	მედიახელოვნებისა და რეჟისურის (აუდიოვიზუალური ხელოვნების) საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	ხელოვნების ბაკალავრი აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში 0801	240 ECTS	აკრედიტებული
5	ჟურნალისტიკისა და მასობრივი	ქართული	სოციალური მეცნიერებების	240 ECTS	აკრედიტებული

	კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამა		ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში 0703		
6	PR (პიარის) საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი 07	240 ECTS	აკრედიტებული
7	ინფორმატიკის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში 0401	240 ECTS	აკრედიტებული
8	ტელეკომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი ტელეკომუნიკაციაში 0402	240 ECTS	აკრედიტებული
9	საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი საერთაშორისო ურთიერთობებში 0705	240 ECTS	აკრედიტებული
10	საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	საჯარო მმართველობის ბაკალავრი 1109	240 ECTS	აკრედიტებული
11	ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	რეგიონმცოდნეობის ბაკალავრი ევროპისმცოდნეობაში 110405	240 ECTS	აკრედიტებული
12	ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში - 100502	240 ECTS	აკრედიტებული
13	სოციოლოგიის საბაკალავრო	ქართული	სოციალური მეცნიერებების	240 ECTS	აკრედიტებული

	პროგრამა	ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	ბაკალავრი სოციოლოგიაში 0706		
14	ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი 0707	240 ECTS	აკრედიტებული
15	ისტორიის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში 1004	240 ECTS	აკრედიტებული
16	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ტურიზმში	ქართული	ტურიზმის ბაკალავრი 1120	240 ECTS	აკრედიტებული
17	ეკონომიკის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის ბაკალავრი 0701	240 ECTS	აკრედიტებული
18	ჯანდაცვის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი მენეჯმენტში 0203	240 ECTS	აკრედიტებული
19	არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამა	ქართული	არქიტექტურის ბაკალავრი 1101	240 ECTS	აკრედიტებული
20	პოლიტიკის მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრი 0702	240 ECTS	აკრედიტებული
21	ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი 04	240 ECTS	აკრედიტებული
<b>მაგისტრატურა</b>					
<b>№</b>	<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</b>	<b>სწავლების ენა</b>	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით</b>	<b>კრედიტების რაოდენობა</b>	<b>პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)</b>
1	ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02	120 ECTS	აკრედიტებული

	(ფინანსები, მენეჯმენტი, მარკეტინგი)	ოვანი კომპონენტებით			
2	ბიზნესის მართვის ორმაგი ხარისხის პროგრამა (ბიზნეს-კვლევა, გლობალური მენეჯმენტი, მენეჯმენტ-კონსალტინგი)	ინგლისური	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი 02	120 ECTS	ავტორიზებული
3	მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა მენეჯმენტში	ქართული	მაგისტრი მენეჯმენტში 0203	120 ECTS	აკრედიტებული
4	კინოხელოვნების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ხელოვნების მაგისტრი კინოხელოვნებაში 080102	120 ECTS	აკრედიტებული
5	სამართლის სამაგისტრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტებით	სამართლის მაგისტრი 06	120 ECTS	აკრედიტებული
6	შედარებითი სახელმეკრულებო სამართლის ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	ინგლისური	კერძო სამართლის მაგისტრი სახელმეკრულებო სამართალში 060301	120 ECTS	აკრედიტებული
7	შედარებითი სახელმეკრულებო სამართლის გერმანულენოვანი სამაგისტრო პროგრამა	გერმანული	კერძო სამართლის მაგისტრი სახელმეკრულებო სამართალში 060301	120 ECTS	აკრედიტებული
8	ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი მასობრივ კომუნიკაციაში 0703	120 ECTS	აკრედიტებული
9	სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი საზოგადოებრივ ურთიერთობებში 070302	120 ECTS	აკრედიტებული
10	ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ინჟინერიის მაგისტრი ინფორმაციულ ტექნოლოგიებში 040101	120 ECTS	აკრედიტებული

11	დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი 0705	120 ECTS	აკრედიტებული
12	საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	საჯარო მმართველობის მაგისტრი 1109	120 ECTS	აკრედიტებული
13	ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ევროპისმცოდნეობის მაგისტრი 110405	120 ECTS	აკრედიტებული
14	მედიაკომუნიკაციის სოციოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	სოციოლოგიის მაგისტრი მედიაკომუნიკაციაში 070601	120 ECTS	აკრედიტებული
15	ტურიზმის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ტურიზმის მაგისტრი 1120	120 ECTS	აკრედიტებული
16	საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი 0904	120 ECTS	აკრედიტებული
17	ჯანდაცვის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი 020303	120 ECTS	აკრედიტებული
18	ევროპული ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა	ქართული	სოციალური მეცნიერებების მაგისტრი 07	120 ECTS	აკრედიტებული
19	ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის მაგისტრი 0701	120 ECTS	აკრედიტებული
20	კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი	კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრი 070709	120 ECTS	აკრედიტებული

		კომპონენტე ბით			
21	აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა	ქართული	აგრობიზნესის მენეჯმენტის მაგისტრი 020305	120 ECTS	აკრედიტებული
<b>დოქტორანტურა</b>					
<b>№</b>	<b>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</b>	<b>სწავლების ენა</b>	<b>მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით</b>	<b>კრედიტების რაოდენობა</b>	<b>პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)</b>
1	ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი - 02	180 ECTS	აკრედიტებული
2	სამართლის სადოქტორო პროგრამა	ქართული	სამართლის დოქტორი 06	180 ECTS	აკრედიტებული
3	ეკონომიკის სადოქტორო პროგრამა	ქართული	ეკონომიკის დოქტორი 0701	180 ECTS	აკრედიტებული
4	საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამა	ქართული ინგლისურენ ოვანი კომპონენტე ბით	საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი 0705	180 ECTS	აკრედიტებული

ყოველი აკადემიური წლისთვის მზადდება და გამოიცემა საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ზოგად ინფორმაციას (მისია, მიზანი, სტრუქტურა, საკონტაქტო ინფორმაცია), საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალს საფეხურების, მისანიჭებელი აკადემიური ხარისხების/კვალიფიკაციების, სწავლების სტანდარტული და დასაშვები ხანგრძლივობის, სწავლების ენის მითითებით.

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ განთავსებულია კავკასიის უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს უკეთესად დაგეგმონ ინდივიდუალური აკადემიური კალენდარი.

საგანმანათლებლო პროგრამაში სწავლის შედეგები აღწერილია დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით და შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ეროვნულ ჩარჩოსა და კონკრეტულ დარგობრივ მახასიათებელს (სამართლის პროგრამები).

უნივერსიტეტს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.

უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობა.

კავკასიის უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა საშუალებას აძლევს სტუდენტს ყოველ სემესტრში აირჩიოს მისთვის სასურველი საგნები, რასაც ხელს უწყობს უნივერსიტეტში მოქმედი რეგისტრაციის სისტემა. გარდა ამისა, კავკასიის ბიზნესის სკოლაში შემუშავებულია სპეციალობების არჩევის წესი, რომელიც გამჭვირვალეა და წარმოადგენს ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის გარკვეულ ანალოგს. კერძოდ, სტუდენტი რიგითობის მიხედვით აფიქსირებს მისთვის სასურველ სპეციალობას, ხოლო ამის შემდეგ ხდება რეიტინგული სიების შედგენა სტუდენტთა მიერ მიღებულ შეფასებებზე დაყრდნობით შესაბამისი სპეციალობისათვის რელევანტურ საგნებში. არჩევანის გამჭვირვალობის მაქსიმალურად უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული წესი წინასწარ ცნობილია თითოეული სტუდენტისთვის.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმი.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სათანადო კვალიფიკაციის მქონე აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ, რომელთა შერჩევა ხორციელდება კონკურსის წესით.

საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და შესაბამისად, სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა. აღნიშნული სისტემა მოიცავს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, ასევე უნივერსიტეტის რესურსების უწყვეტ შეფასებას და შედეგების გაზიარებას შესაბამისი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულებისათვის.



საანგარიშო პერიოდში კავკასიის უნივერსიტეტმა დაიმატა ახალი პროგრამები: აგრობიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა და ელექტრონიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამა. მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები: სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების შეფასების სისტემის და სხვა აკადემიური მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან; საგანმანათლებლო პროგრამის შევსება ახალი საგნებით; კურსების სახელწოდებების ცვლილება, საგანთა კრედიტების მოცულობის ცვლილება; პროფესორ-მასწავლებელთა ბაზის გამდიდრება.

საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა შეხვედრები გამართა სტუდენტებთან, რის შესახებაც მომზადდა ანგარიში. აღნიშნული ანგარიში და სტუდენტების მიერ ლექტორთა სემესტრული შეფასებები განხილულ იქნა სკოლებისა და ადმინისტრაციულ ერთეულების მიერ, რის საფუძველზეც განისაზღვრა ძირითადი პრიორიტეტები და მომზადდა პროგრამებში განსახორციელებელი ცვლილებების გეგმა.

საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების განხორციელების უმთავრესი მიზანია განათლების ხარისხის გაუმჯობესება და პროგრამის აქტუალობის შენარჩუნება. პროგრამებში ახალი საგნების დამატება ძირითადად გამოწვეულია კონკრეტული სასწავლო კურსების საჭიროებით და სტუდენტების მხრიდან მათდამი მზარდი ინტერესით. პროფესორ-მასწავლებელთა ბაზის განახლება ხელს უწყობს კვალიფიციური ლექტორების ჩართვას სასწავლო პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელებული ცვლილებების შედეგია პროგრამების განხორციელების ოპტიმალური მენეჯმენტი, მოთხოვნადი საგნების რაოდენობის ზრდა, მრავალმხრივი და პრაქტიკაში მეტად გამოყენებადი განათლების მიღება, პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი უკეთ იქნება ადაპტირებული თანამედროვე მოთხოვნებისადმი, სტუდენტი შესაბამისი კურსების გავლის შემთხვევაში განივითარებს აუცილებელ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც გაზრდის მის კომპეტენტურობას და გახდის კონკურენტუნარიანს სამუშაო ბაზარზე.

## მატერიალური რესურსი

დაწესებულების საკუთრებაშია მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო და კვლევით პროგრამებს.

კავკასიის უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვას. კერძოდ, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის ხელმისაწვდომია საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის კომპიუტერები და ინტერნეტი. აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკითა (მულტიმედია პროექტორი, კომპიუტერი, აუდიო-ვიდეო ტექნიკა და სხვა) და სასწავლო ინვენტარით. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასები, აღჭურვილი თანამედროვე კომპიუტერებითა და სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით.

დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

უნივერსიტეტს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, კერძოდ, სველი წერტილები, ლიფტები და შენობაში შესაბამისი შემოსასვლელი.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში.

კავკასიის უნივერსიტეტში არსებობს ბეჭდური და ელექტრონული საბიბლიოთეკო ფონდი და შესაბამისი ელექტრონული კატალოგი. მასში რეგისტრირებულია ბიბლიოთეკის საკუთრებაში არსებული წიგნადი და ციფრული ფონდი, ასევე საგანმანათლებლო/სამეცნიერო პერიოდიკა.

ბიბლიოთეკაში მოქმედებს:

1. ელექტრონული კატალოგი OpenBiblio-<http://library.cu.edu.ge/opac/index.php>
2. ელექტრონული ბიბლიოთეკა <https://ebooks.cu.edu.ge/> რომელიც განკუთვნილია შიდა მოხმარებისათვის.

კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით.

ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და სტანდარტების შესაბამისი სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.

კავკასიის უნივერსიტეტი ასევე იყენებს სხვადასხვა სოციალურ მედიას:

- [ფეისბუქი](#)
- [Youtube-ის ოფიციალური არხი](#)
- [ტვიტერი](#)
- [ინსტაგრამი](#)

MY CU - მობილური აპლიკაცია ანდროიდისა და iOS სისტემებზე. სტუდენტებს საშუალება აქვთ ნახონ საკუთარი შედეგები, მიიღონ ახალ ნიშნებზე ინფორმაცია; გაეცნონ დაგეგმილ ღონისძიებებს და მიიღონ ინფორმაცია ახალ ამბებზე.

## სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები

კავკასიის უნივერსიტეტში განხორციელებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შესაბამისად ტარდება კვლევითი სამუშაოები მარკეტინგის, ფინანსების, მენეჯმენტის, სამართლის, ეკონომიკის, ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა და სხვა მიმართულებებით. უნივერსიტეტის თანამშრომლები ეწევიან სამეცნიერო მუშაობას დარგების შესაბამისად. ყოველწლიურად გამოიცემა სტატიები, სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროფესორთა, მაგისტრ და დოქტორანტ სტუდენტთა წლიური სამეცნიერო ნაშრომების კრებულის სახით გამოცემას.

2016–17 წწ. საანგარიშო პერიოდში კავკასიის უნივერსიტეტი ახორციელებდა და მონაწილეობდა შემდეგ პროექტებში:

**2016 წლის 17–25 სექტემბერს**, კავკასიის უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ „თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალში“ შემდეგი ღონისძიებებით:

**17 სექტემბერი, 2016** – „ექსპო-ჯორჯია“-ს მე-5 საგამოფენო პავილიონში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ, „თბილისის მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალის“ ფარგლებში ჩატარდა „ინოვაციების გამოფენა“, რაშიც კავკასიის უნივერსიტეტიც ჩაერთო და ფესტივალზე წარმოადგინა: სტუდენტური საერთაშორისო კონფერენციების 22 კრებული, სამეცნიერო შრომების კრებულები და პროფესორ-მასწავლებელთა ნაშრომები – 40 წიგნი, სასწავლო მასალა – 23 წიგნი. გარდა ზემოაღნიშნულისა, ფესტივალზე ასევე წარმოდგენილი იყო კავკასიის უნივერსიტეტის კვლევითი ჯგუფის მიერ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქართული ძეგლების ფოტომასალა.

**20 სექტემბერი, 2016** – სამეცნიერო პოპულარული ლექცია-სემინარი – „ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების 2016 წლის ექსპედიციების სიახლეები“; პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა, პროფესორმა თემურ ხუციშვილმა საზოგადოებას წარუდგინა 2016 წელს ისტორიულ ტაოში ახლადგამოვლენილი ძეგლები, აქვე წარმოდგენილი იყო ფოტო და ვიდეომასალა. პროექტი 2014 წელს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა და დღემდე წარმატებით ხორციელდება.

**21 სექტემბერი, 2016** – კავკასიის უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ერთობლივი სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია – „აგრობიზნესის განვითარების ხელშესაწყობად პროფესიული და უმაღლესი განათლების ინოვაციური სასწავლო პროგრამების დანერგვა“.

**22 სექტემბერი, 2016** – კავკასიის უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისა და საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის

კომიტეტთან არსებული ინოვაციების საბჭოს ერთობლივი ვორქშოპი – „საქართველოში ინოვაციური პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა“.

**25 სექტემბერი, 2016** – კავკასიის უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის ერთობლივი სტუდენტური კონფერენცია – „სამართლის განვითარება თანამედროვე საქართველოში“. კონფერენციის ძირითადი თემატიკა იყო – დემოკრატიული სამართლებრივი რეფორმების შემუშავება და მათი რეალიზაცია კერძო, საჯარო და სისხლის სამართლის სფეროებში.

**2016 წლის 18 ნოემბერს** სასტუმრო “ზომონდ გარდენში” კავკასიის უნივერსიტეტის, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ორგანიზებით, თბილისის ევროპული ახალგაზრდული ცენტრის თანამონაწილეობითა და ფრიდრიხ ებერტის ფონდის ხელშეწყობით, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები“ გაიმართა. კონფერენციაში მონაწილეობდნენ აღნიშნული უნივერსიტეტების სამართლის, ეკონომიკის, ბიზნესის ადმინისტრირების, საჯარო მმართველობისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტები. კონფერენციისთვის გამოიცა ორიგინალური იდეებით გამსჭვალული 11 საუკეთესო სტუდენტური სამეცნიერო ნაშრომის კრებული: „საქართველოს ევროინტეგრაციის პერსპექტივები“.

**2017 წლის 1 თებერვალიდან 13 ივნისამდე** კავკასიის უნივერსიტეტის ბათუმის ფილიალის სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონკურსში „სტუდენტები სოციალური მეწარმეობის მხარდასაჭერად 2017“. კონკურსი სტუდენტებს თავიანთი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობას აძლევს და მათი ინტერესების სფეროს გაფართოებას უწყობს ხელს. კონკურსის მიმდინარეობისას სტუდენტები შეხვდნენ ბიზნესის სექტორის წარმომადგენლებს.

**2017 წლის მარტში** კავკასიის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა გამოსცა ტაო-კლარჯეთის კულტურის ძეგლების კატალოგი ოთხ ტომად.

**2017 წლის აპრილში** გამოიცა სამეცნიერო შრომების კრებულის მე-8 ნომერი, რომელიც აერთიანებდა სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორთა, მაგისტრ და დოქტორანტ სტუდენტთა 19 ნაშრომს. სამეცნიერო ნაშრომების კრებული აერთიანებს როგორც კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების, ასევე პარტნიორი უნივერსიტეტების სხვადასხვა თაობის მკვლევართა გამორჩეულ სტატიებს. გასულ წლებში გამოცემული კრებულების მსგავსად, ნაშრომები მოიცავენ გამოყენებითი და ფუნდამენტალური მეცნიერების დარგებს.

კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების მიერ ყოველწლიურად იმართება შიდა სასკოლო, სამეცნიერო კონფერენციები. კონფერენციებში მონაწილეობას იღებენ კავკასიის უნივერსიტეტის სკოლების საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტები.

**2017 წლის მაისში** კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის, სამართლის, მედიის, სახელმწიფო მართვის, ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებების, ტურიზმის, ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლებმა უნივერსიტეტის დაფინანსებით ორგანიზება გაუწიეს შიდა სასკოლო სამეცნიერო კონფერენციებს სკოლების მაპროფილებელ თემატიკაზე. სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო 69 სტუდენტმა.